

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ მუხურის
მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის
კობა თოლორდავას 2019 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს მთავრობის მიერ აღდგენილ იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა მოსახლეობასთან, სადაც მოსახლეობის მიერ წამოჭრილი და შერჩეული პრიორიტეტები იქნა გადაჭრილი:

სოფლის ცენტრში აშენდა ახალი ორ-განყოფილებიანი კაპიტალური საპირფარეშო, რომელიც სრულადაა მოწყობილი.

პოეტ ლაშა გახარიას სახლ -მუზეუმის ეზოში გარე განათება, მაფელის უბანში შიდა გზის მოხრეშვა და სანიაღვრე არხის გაჭრა და გაწმენდა. ლეგახარეს უბანში სასაფლაოს გზის მოხრეშვა, ამავე უბანში მოსაცდელის მოწესრიგება, ლებენდელიანეს უბანში ჭიშკრის მოწყობა, სქურჩას უბანში სანიაღვრე არხის გაწმენდა- ბოგირის მოწყობა. სოფლის სენტრალური სასაფლაოს მოწესრიგება, ლექოფეთიანეს უბანში უნზის წისქვილის მობეტონება. ლეთოლორდეს უბანში წისწვილის დემონტაჟ და რკინა ბეტონის მიწოდება, სქურჩას უბანში ახელი გახარიას წისქვილის შეკეთება.

„ათასწლეულის გამოწვევის“ პროგრამით 2 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია.

ჩატარდა ფაროსანას საწინააღმდეგო სამუშაოები, პლანტაციები დამუშავდა თერმული ნისლით. ფერმერთა ჯგუფებს უსასყიდლოდ გადაეცათ შესაწამლი აპარატები. დამუშავდა თხილისა და სიმინდის ნაკვეთები, განთავსდა ფერემონები. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს სამუშაოები ნაპირსამაგრი ჯებირების და სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია ლეგახარეს უბანში ეკლესიის გზაზე.

გარე განათება ცენტრალურ გზაზე 5 კილომეტრიანი ხაზი ნაწილობრივ რეგ.ფონდი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით.

ჩატარდა შეხვედრა მოსახლეობასთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულთან, პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთან, მუნიციპალიტეტის მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან.

მოსახლეობამ შეხვედრებისას გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება და მოითხოვეს სოფლის გაზიფიცირება, „ლეჩიქვანეს“ და „ლეთოლორდეს“ უბნების გზების მოასფალტება. მოხდა ორივე გზის პროექტირება და 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინება.

აქტიურად ვმონაწილეობთ საკრებულოს სხდომების მუშაობაში უმრავლესობის ფორმატში, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში, აგრეთვე კომისიაში სადაც 2017 წლიდან ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

ჩატარებული სამუშაოების ამსახველი ფოტო მასალა განთავსებულია საკრებულოსა და მერიის ვებ-გვერდის ოფიციალურ გვერდზე.